30 ივნისს (12 ივლისს), 1867. № 26. მეორე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.


**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.


### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყო-ველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება **პირველისავე ნუმრიდამ.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

---

**შინაარსი:** „დროების“ კორრესპონდენცია. ქენ-ჰის ყრა ქუთაისში. — პოლიტიკა: ფრანცია. ოსმალეთი. ამერიკა. ტელეგრამმები. — ანტონ ფურცელაძის განცხადებაზედ. სახაზინო განცხადება. ქერძოობითი განცხადება. — სტატიაზედ: ქართული წარმოდგენა ტფილისში.

---

### „დროების“ კორრესპონდენცია.

#### ქენჰის-ყრა ქუთაისში.

„ქენჰის ყრის“ ამოკითხვის შემდეგ ვაი თუ მკითხველს ვრცელი მოთხრობა ეგონოს ამ საგანზედ, მაგრამ რადგანაც დრო ნებას არ გვაძლევს, ამისათვის არა თუ ვრცლად, არამედ გვინდა გადავსცეთ მკითხველს მხოლოდ რამდენიმე ფაქტი, რომლის მოწამე თვითონ ვიყავი და თუ ამ ღარიბს ცნობაებს ვუწოდე ეს სახელი (ცენჰის ყრა) ეს მისთვის, რომ მკითხველის ყურადღება უფრო მიმექცია ამ რამდენსამე ცნობაზე.

დილით ადრე, როდესაც არც სიცხე მაწუხებდა და არც სიცივე, ერთს მშვენიერს წარსულს მაისის დღეს, ჩვენს ქუთაისის ბულვარში სასეირნოთ შევედი. მე არ ვფიქრობდი, რომ რაც უნდა გულ-ცივი კაცი ყოფილიყო არ ესიამოვნებინა იმის მდიდარის ბუნებით! ჯერ ბაიბუი არსად იყო; გეგონებოდა მშვენიერს ბუნებას ჯერ კიდევ არ გამოუღვიძნია. ნელი ნიავი ნელ—ნელა ანძრევდა გამწკრივებულის, მაღალის ალვის ხეების წვერებს და ეს ტკბილი სიო ძლივს არხევდა მათ მწვანე შტოებს. საითაც გავიხედ—გამოვიხედავდი, ყოველგან ვპოვებდი სიამოვნებას; შორს ვხედავდი ახალციხის ლურჯს მთებს, მათ მძიმეთ ესალმებოდნენ თეთრი ნისლის გუნდები თითქო ეძნელებოდათ მათი მოშორება; ამ მთების გამოღმით შავი ზღვისაკენ დაჰყვება რიონის მშვენიერი ჰალა-ვაკეობა, რომელიც წარმოუდგენდა მეტად მშვენიერ სურათს ჩემს თვალებს. როდესაც გაველი ძველის სობოროსკენ და იქიდამ გადმოვიხედე, დიდხანს ვუყურე და ველარ მოვაშორე თვალი და ვნატრობდი, ნეტავი მუდამ შენთვის მაყურებინა მეთქი. ეს სურათი კიდევ უფრო დამშვენდა, როდესაც სინათლის სადგისმა ჰკრა პირველად წვერი ახალციხის მთებს, — ეს იყო ახალი ამობრწყინებულის მზის სხივები. ამ მშვენიერმა სანახავმა პოეტი გამხადა; მაგრამ გული სწუხდა, ვაი თუ დიდხანს არ გააწიოს ჩემმა პოეტურმა განცხრომამ მეთქი. ათი საათი რომ შესრულდა, დავეშვი ისევ უკან და გამოვსწიე ბულვარისაკენ, სადაც იმერეთის აზნაურობა იყო თავმოყრილი. მიზეზი ამ ჟამათ იმათი ქუთაისში ყოფნისა იყო მარშლების ანუ სხვა და სხვა პირების ამორჩევა. აქ აზნაურები ჯგუფ—ჯგუფათ იდგნენ; ზოგნი მოლზე ისხდნენ და ჩურჩულობდნენ, ზოგნი ფეხზე იდგნენ და ზოგი...... ჩვენის იმერლების საქმე ძლიერ გასაკვირველია. არათუ საქართველოში, სხვაგანაც არსად მეგულება მეორე ხალხი, რომ ამათ ოდენი საიდუმლოები ჰქონდეს; არც ამოდენი დაუნდობლობა და გულჩახვეულობა მინახავს, რამოდენიც ჩვენ, იმერლებს, გვაქვს. ძვირათ მოხდება, ორი მეგობარი გულგახსნით ერთმანეთს დაელაპარაკნენ. თუ ძალიან კარგათ არ იცნობ აქ კაცს და ისე დაელაპარაკე, პასუხს გეიან მოგცემს და ძალიან დაკვირვებით, — მას ჰგონია ატყუებ და სცდი.

როდესაც ბულვარში შევედი, ერთი ჩემი კარგი ნაცნობი შემხვდა, რომელიც კარგათ იცნობდა აქაურის საზოგადოების ხასიათს. მან დაინახა, რომ სამი კაცი ერთათ ჩურჩულობდნენ, და მითხრა: „რომ იცოდე, რამდენს ტყუილს ისინი ერთმანეთს ეტყვიან“!..

— შენ რა იცი! ეგების, სულ მართალს ამბობენ, — მიუგე მე.

ჩვენებური სამი კაცი ერთათ შეიყრებიან და მართალს იტყვიან და ერთმანეთს სულ გაუტყდებიან? — ამას რათ ფიქრობ? შენგან არ მიკვირს!...“

ერთი ერთს მიარბენინებს; მეორე—მეორეს და ეჩურჩულება..... არა აქვს ბოლო მათ ჩურჩულს. მართლა აქვთ რამე საიდუმლო, — თუ მათი გულ—გაუხსნელის თვისების ბრალია, რომ მუდამ საიდუმლობენ — ეს შენვე გამოიცანი. იმას ნუ ფიქრობ, აქ სწორი პასუხი მიიღო; გულში რომ გრძნობდეს თეთრად და ჰკითხო, გეტყვის, შავიაო.

როგორც ვხედავთ ამ გზობისათ ქუთაისის ბულვარზე დიდი რუზრუზი იყო. მარშალი, რადგანაც საზოგადოების სურვილის და აზრის წარმომდგენელი უნდა იყოს, ამისათვის ამ საგანზედ საზოგადო მოლაპარაკება და რჩევა არ უნდა იყოს დაფარული; ამ დროს ყველანი გულ-გახსნით უნდა ლაპარაკობდნენ, მაგრამ, საუბედუროთ, საზოგადო საქმეს ცოტათი ვაქცევთ ყურადღებას.

აი როგორი საბუთები აქვთ აქ საზოგადო საქმის დროს ხელმძღვანელათ. ერთჯერ ამ წლევანდელს კენჰის-ყრის დროს დავესწარი ერთ მოგვარეების წრეში, სადაც ლაპარაკობდნენ: „ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი მოგვარე იყოს მარშლათ, თორემ ჩვენი გვარი დაიჩაგრებაო.“

ამის შემდეგ ნუღარ გაგიკვირდება, რომ ჩვენი საზოგადო საქმე აქ კარგათ არ მიდიოდეს, როდესაც ამისთანა დაჟანგებულს ინტერესს ვემსახურებით ყოველ შემთხვევაში. —

აქედამ გადვიდეთ კლუბში, სადაც მარშლების ამორჩევის თავობაზე მოხდა წელს კენჰის—ყრა; რაც აქ უწესოება იყო ამ გზობისათ არც ნახევარს დაიჯერებთ, რომ გიამბოთ. კენჰის—ყრა გაგრძელდა ორ კვირას; პირველის დღიდანვე დიდი უწესოება დაიწყო. გასაკვირველი ეს იყო, აზნაურები როგორ ასწრებდნენ ერთმანეთში მოლაპარაკებას: ჩამობძანდნენ თუ არა ქუთაისში, მოჰყვენ ქალალდის თამაშობას,

---

### სტატიაზედ: „ქართული წარმოდგენა ტფილისში.“

„დროების“ 21 №-ში წავიკითხეთ სტატია, რომელსაც ერქო: „ქართული წარმოდგენა ტფილისში.“ ჩვენ ამ სტატიისა დიდი იმედი გვქონდა და მოველოდებოდით, რომ ავტორი მოილაპარაკებდა ვრცლად ჩვენი სცენის გარემოებაზედ და კოჭლობაზედ, უჩვენებდა ამ უკანასკნელის მიზეზებს და ამით დაეხმარებოდა ქართული სცენის წარმატებას. მაგრამ ამ გვარი ჩვენ მოხსენებულს სტატიაში სულ ვერა გამოვნახეთ რა: იქ იყო მხოლოდ დიდი ცდილობა დრამის „მაიკოს“ ავტორიტეტის დამხობისა, და სხვა რამეზედ, უფრო სასარგებლოზედ, ლაპარაკი სრულიად არაფერი. ჩვენის აზრით, ყოველი მწერალი უნდა ცდილობდეს საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანას, და უმეტესად კრიტიკოსის ვალი ის არის, რომ დააფასოს საგანი, რომელზედაც სჯის, ღირსეულად და ჯეროვნად; ამისთვის უნდა იყოს გაფთხილებული სიტყვების ხმარებაში, — ყველა სიტყვა უნდა ჰქონდეს აწონილი, ყველა სჯა მიმართული საზოგადო სარგებლობისკენ. ამით, უეჭველია, იმის კრიტიკას მიეცემა ღირსება — და ეს ნივთი იმის თხზულებას საზოგადო სარგებლობასთანაც დაახლოვებს. მაშინ ავტორის ლაპარაკი და სჯა არ ჩაივლის ამაოდ არც საზოგადოებისთვის და არც, მაშასადამე, თვით მწერლისთვის. ეს პირობაები, ჩვენა გვგონია, ყველა სტატიისათვის და უმეტესად კრიტიკისათვის. მაგრამ ჩვენ რას ვპოვებთ უფ. კრიტიკოსის (ჩვენ მოხსენებული სტატიის მწერალსაც კრიტიკოსს ვუწოდებთ) — რას ვპოვებთ იმის სტატიაში? იქ არის მხოლოდ ბევრი უადგილოდ და დაუდევნელად ნახმარი ფრაზები და ხან-და-ხან თავისავე აზრის წინააღმდეგობა. ამის გამო იმის სტატიას სჭირს ის ხასიათი, რომ შეუძლიან შეცდომილებაში შეიყვანოს და შეუცვალოს მკითხველს რიგიანი შეხედულობა — ურიგო და უსარგებლოზედ. ამ სიტყვების დასამტკიცებლად ჩვენ მივყვებით სტატიას თავიდგან ბოლომდის და უჩვენებთ მკითხველს, თუ რა იპოვება იმაში.

მოხსენებული კრიტიკოსი იწყობს თავის სტატიას ამ გვარად: „იტალიანურ მღერას თითქმის ყური გაეჩვია, თითქმის გაძღა ყური ერთისა და იმავე სურათებითა.“ ჩვენ არ ვიცით როგორ მივიღოთ ეს ფრაზა? ისე რომ, ვითომც ავტორი თავის აღსარებას ამბობს, თუ ისე ვითომც საზოგადოება აღვიარებდეს ამას? პირველს შემთხვევაში ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით: ყველა კაცს თავისი გემო აქვს, როგორც ამბობს ფრანციცული ანდაზა; ხოლო მეორეზედ კი ვერ ვეთანხმებით, რადგან ჩვენ სულ სხვა ნაირად გვეჩვენება საქმე. ჩვენ სულ არა გვჯერა, რომ ვითომც საზოგადოების ყური გაეჩვია იტალიანურს ოპერას. კაცი რასაც გაეჩვევა (იმ აზრით, რა აზრითაც ამ სიტყვას ხმარობს კრიტიკოსი) — ის მოსწყინდება, და თუ სულ თავს არ დაანებებს — ხილად თუ იხმარებს იმას, თორემ იმისი ტრფობა და მეგობრობა უწინდებულად აღარ შეუძლიან, — თუ მეტადრე იმასაც გაიგებს, რომ არა ვითარი სარგებლობა არ შეუძლიან იმის უწინდელს სატრფოს (ჩვენ აქ ოპერას ვიგულისხმებთ). მაგრამ ოპერა სულ სხვა ნაირი სახმარებელია ჩვენი საზოგადოებისთვის: იტალიანური სიმღერა და მუზიკა არის ისეთი შექცევა ჩვენი საზოგადოებისთვის, რომელსაც ის ჯერ-ჯერობით ისე ვერ გაეჩვევა, რომ მოსწყინდეს და ამის გამო მოითხოვდეს სხვა შექცევას, უფრო ძნელად გასაგონს. რასაკვირველია, მკითხავენ: ოპერისა კი ესმის რამეო ჩვენ საზოგადოებას? — რა უნდა ესმოდეს პოეზიის მეტი, იმ პოეზიისა, რომელსაც ჩვენ ხალხზედ დიდი მოქმედება აქვს. ჩვენ გვგონია დიდი ხანი გაივლის, რომ არ მოგვწყინდეს ჩვენ მუზიკა და სიმღერა, და საუბედუროთ ამ პოეზიას შეუპყრივართ ბუნებით ჩვენ ყველანი და გვიპყრობს ერთ შეკრულ წრეში. ეს ბუნება ჩვენი იქამდის მოქმედებს ჩვენზედ, რომ რაშიაც არ არის ნატამალი მაინც პოეზიისა — სულ არას გვაწონებს. — თვითონ ზემოთ მოხსენებული სტატიის ავტორიც ვერ დახწევია ბუნებით პოეზიის ზედ მოქმედებას და შემდეგ ფრაზისა:“ რუსული, რიგიანი წარმოდგენები ჯერ არ დაბინავებულან“, რომლის მნიშვნელობა ჩვენ სრულებით არ გვესმის და გვგონია არის ნახმარი — ისე რაღა! — ამბობს ამ ფრაზას: ამის გამო (ესე იგი იმის გამო რომ იტალიანურს ოპერას გაეჩვია ჩვენი საზოგადოება — ერთი ეს არის მართალი? — და კიდევ იმის გამო, რომ რუსული წარმოდგენაები ჯერ არ დაბინავებულან — ამის მნიშვნელობა ჩვენ სრულებით არ გვესმის) — ამის გამოო, „როდესაც ხან-და-ხან ადგილობრივი წარმოდგენა მოხერხდება ხოლმე, ჩვენ დიდის ხალისით მივდივართ თეატრში.“ ამ ფრაზაში სჩანს ავტორისაგან პოეტიკური გატაცება, და აუცილებელიც იყო იმისგან ეს გატაცება, რადგან, ჩვენის აზრით, ძალიან უხერხოთ დაიწყო თავის სტატია. აქ არის, ვგონებთ, თავისივე აზრის წინააღმდეგობა. აბა ერთი გაშინჯეთ ტონი: ხან-და-ხან მოხერხდება ხოლმე (წარმოდგენა) და მერე ამ ტონს შეუფარდეთ ეს სიტყვები: დიდის ხალისით მივდივართ თეატრში. კიდეც ამასა ვჩივით ჩვენ, რომ ქართული წარმოდგენა ძლივს მოხერხდება ხოლმე და ჩვენ გვგონია მიზეზიც ის არის, რომ საზოგადოება არა თუ ხალისით, არამედ ძალიან ცივად ეკიდება ამ საქმეს. განა დასაჯერია, რომ იმედი ჰქონდეს კაცს საზოგადოების თანაგრძნობისა და ძლივს ახერხებდეს საქმეს?! ეს იქნება მეტად დამამცირებელი სიძუნწე კაცისა, არა თუ ის სიძუნწე, რომელიც ფულებს შეეხება, არამედ სიძუნწე სულისა, ანუ არა კაცობა! ავტორი ტყუილად ჰხდის ბოდიშს საზოგადოებას, და რასაც ჩვენ საქმით ვხედავთ, იმაზედ ძალიან შორს არიან იმისი ფრაზები. აი მოგახსენოთ.

ამ წელში ქართულ ენაზედ მოხდა სულ სამი წარმოდგენა: ერთი საკეთილშობილო კლუბში, ქართველი გიმნაზიელებისაგან, და ორი ტფილისის თეატრში, ქართული სცენის მოყვარეთაგან. ამ სამივე წარმოდგენას ჰქონდა ერთი და იგივე აზრი — კეთილი საქმე.

გიმნაზიელებმა ითამაშეს იმ აზრით, რომ ერთი თავიანთი ამხანაგისთვის მიეცათ შეძლება მაღალ სასწავლებელში წასვლისა და სწავლაში განვითარებისა; ერთმა ქართული

დღე და ღამე გაერთებული ჰქონდათ. ბევრი ვიცი, რომელთაც ქაღალდის თამაში რომ ახსოვდათ, ისე არათუ საზოგადო საქმე, პურის ჭამაც არ ახსოვდათ; (*) არათუ შინ, კენჭის საყრელად რომ მოვიდოდნენ კლუბში, იქაც კი თამაშობდნენ, ზალაში რომ კენჭის ყრა იყო, მეორე ოთახში ქაღალდში ჭიდაობდნენ.

ეს კლუბი აქვს აღებული ფრანცუზს მარტენს, რომელმაც, ღმერთმან უშველოს, ძალიან პურმარილობა გამოიჩინა. აქვე მეორეს ოთახში იყო ბუფეტი, რომლის კარები მუდამ ღია იყო, ასე რომ ყოველთვის თავისუფლათ შედიოდნენ და გამოდიოდნენ აზნაურები. ცოტა ხანს იქით გზა აღარ ეშლებოდათ.

9-ს საათზე რომ თავს მოიყრიდნენ, მესამე საათზე დაიშლებოდნენ. ამდენ ხანს რა გააძლებინებდათ აზნაურებს, თუ სხვა საშვალება არა ყოფილიყო რა; ჩაუსხდებოდნენ ღვინოს და იყო ერთი სადღეგრძელოს სმა. ორი—სამი კაცი მე თვითონ ვნახე აქ ღვინით კარგათ შექეიფებული. საწყალი მარტენი მეცოდებოდა, არ გააკოტრონ საწყალი მეთქი. თუმცა უცხო კაცი იყო, გარნა ეტყობოდა, ძალიან ზრუნავდა კენჭის ყრაზე და მარშლების ამორჩევაზე ხშირათ მკითხავდა: „ჯერ ხომ არ გათავდება კენჭის ყრა“? როდესაც მიუგებდი, ჯერ დიდხანს კიდევ არ გათავდება მეთქი, მძიმეთ ამოიოხრებდა. მის ოხვრას მეც თანავუგრძნობდი და ვამბობდი გულში: საწყალი! შესწუხდა, ძლიერ ბევრი ხარჯი მოსდის მეთქი.

ან კი რა უნდა ექმნათ ჩვენს აზნაურებს, თუ რომ ამგვარათ დრო არ გაეტარებინათ; მოსწყინდებოდათ!.. სამ საათამდის რა გააძლებინებდათ!.. ლაპარაკი და რჩევა ამორჩევაზე აქ რაღა საჭირო იყო. ამათ კენჭები ჰქონდათ, საითაც კენჭი წავიდოდა, სიმართლეც იქით იყო.

ერთი კარგი საქმე ემართებოდათ მეკენჭე აზნაურებს. როგორც მოვკარი ყური ორიოდეს ლაპარაკს: „ბევრი არაფერი გვეხარჯის ამ კენჭის ყრის დროს, ყოველთვის სხვაგან ვართ დაპატიჟებული; სხვა დროს რომ არ გვპატიჟობენ და კენჭის ყრის დროს კი, ეს რა ამბავია.—მე დღეს დაპატიჟებული ვარ და ვგონებ არ წავიდე, მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა.

— რატომ? მე ვკითხე.

— როგორთუ რატომ! თავის დღეში არ დაუპატიჟებივარ და ეხლა მპატიჟობს კენჭის ყრის დროს, რა არის?

— კენჭი ხომ არა გაქვს? (ვკითხე).

— მაქვს.

— ოჰ; ეხლა კი ვიცი, რისთვისაც გპატიჟობს, ჰ. . . . .

— კენჭის ყრის დროს სიტყვა საზოგადოთ ძვირად გაგონილა, ყველა თავ-თავისათ ჭიჭყინობდა. ამათი კიჟინი და ხრიალი შორიდამ ფოთის კანცერტს მომაგონებდა ხოლმე (*). ახლოს რომ მიხვიდოდი, ამ კიჟინასთან დაინახავდი ურიცხვს მუშტებს, რომელთაც აქნევდნენ უსწორ-მასწორათ; ანჩისხატის პატარა კრივი წინ წარმოგიდგებოდა. რამდენი ლანძღვა, რამდენი ურიგო სიტყვები გაიგონა წინმჯდომარის და პროკურორის სტოლის წინ ჩემმა საწყალმა ყურებმა, ან ნახევარს ვინ დასთვლის (**). . . . . არ ეგვანებოდა ამ ჩვენს კენჭის ყრას რიგიანი და წესიერი ტფილისის გუბერნიის კენჭის ყრა, სადაც, როგორც გავიგე, ერთი უწესო სიტყვა არ თქმულა და არაფერი უწესოება არ მომხდარა. წინმჯდომარის ზარის დაწკარუნება ბევრს ვერას შველოდა, ყვირილს არ იშლიდნენ.

ერთს დღეს, კენჭის-ყრის დაწყების დროს, იყო საშინელი ჭიჭყინი გიმნაზიის საპატიო მზრუნველის ამორჩევაზე; თუ არავისთან მისულიყავი, ისე სრულიათ ვერას გაიგონებდი. თავსმჯდომარემ მოინდომა ამ საგანზე საზოგადო აზრის გაგება, ამისთვის მოინდომა ზარის წკარუნით მათი გაჩუმება, მაგრამ ყოველი მისი მეცადინეობა ფუჭი იყო. როდესაც ამითი ველარა გაარიგარა, მაშინ კოლოფები მოითხოვა კენჭის საყრელად. მაგრამ აზრის გაგება რა ნაირათ მოხდებოდა საზოგადოთ, როდესაც არ იცოდნენ, თუ რა საგანზედ იყო ლაპარაკი. ერთი ჩემი ნაცნობი მივიდა ერთს კეთილშობილს კაცთან, როდესაც ის იძახოდა: „არ მინდა, არ მინდა. . . . . ეხლავ შავს ჩავუგდებო“. . . .როდესაც ჩემი ნაცნობი კაცი დარწმუნდა, რომ ამ გაფიცხებულმა კაცმა არ იცოდა, თუ რაზედ ყვიროდა და ცეცხლდებოდა, მაშინ უთხრა: „როგორ თუ არ მინდა!!!?... უჰ!. . . ეგ როგორ არ მინდა“!!. . . .

შებღავლა და დაიწყო ღრიალი: „გვინდა, გვინდა, გვინდა. . . . . .“

მოდი, მითხარი ჩემო მკითხველო, რა ხეირი უნდა იქნეს ამის შემდეგ ჩვენს საზოგადო საქმეში?!. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ბანკის საქმე, ყოველს შემთხვევაში, კარგათ გათავდა; ბანკის დაარსება საზოგადოთ ისურვეს. ბანკის პროექტის შესადგენათ იყო ამორჩეული საკუთარი კამისია, რომელიც ხელ—ახლად ამოარჩიეს და მიუმატეს რამოდენიმე პირი, იმ აზრით, რომ თუ მმართებლობამ დააბრუნა პროექტი რაიმე შენიშვნით, მათ უნდა დაიცვან ეს პროექტი, ან უნდა შესცვალონ. წელს აქ ძალიან პარტიობა იყო. არა თუ თავადებსა და აზნაურებსშუა თვითოეულ გვარი თავის გვაროვნობის ან კერძოობითის ინტერესისათვის მეცადინეობდა, აზნაურებიც ძალიან მონდომებულნი იყვნენ, რომ იმათთაგანი ამოერჩიათ მარშლებათ. შორაპნის უეზდში მაინც ამოირჩიეს მარშლათ აზნაურებთაგანი. აზნაურის ამორჩევა მარშლათ აქ ეს პირველი შემთხვევა არის.-ეს ამტკიცებს, რომ, ჩვენ და სასიამოვნოდ, თავად-აზნაურები ერთმანეთს დაუახლოვდნენ, და ისე აღარ უყურებს თავადი აზნაურს, როგორც უწინდელს დროში, ვითომც თავადსა და აზნაურს შუა რამე განსხვავება იყოს. (*) თავადები დაშორდნენ იმ დაობებულს აზრს, რომ „თუ თავადის სისხლი 25 მანეთათ ღირს, აზნაურის სისხლი 15 მანეთათ ეღირებაო“—ეს ცრუ აზრი სრულიად იკარგება ჩვენს საზოგადოებაში, როგორც დაგვარწმუნა ამ უკანასკნელმა კენჭის ყრამ და აზნაურის მარშლათ ამორჩევამ.

(*) რადგანაც მაისის თვეში კარგი სამყოფია ქუთაისში, ამისთვის ბევრი აზნაურები ცოლებით ჩამობძანდნენ. როდისაც ჩვენი ვაჟბატონები ხვნეშოდნენ სათამაშო ქაღალდზედ, მაშინ ჩვენი ქალბატონები ჩვენ ნევის პროსპექტზე (ბაგარინის ქუჩაზე) დაქროდნენ, ასე რომ ახალ ხიდთან რომ თავი ჰქონდათ ფაიტონებს, ბოლო კლუბთან.

(*) ამ კონცერტს ყველა იცნობს, ვინც ფოთში ყოფილა და უნახავს მისი ზაფხულის საღამოები.

(**)— ერთმა მოკენჭე პირმა, როდესაც დაინახა, რომ კენჭები აღარ წავიდნენ ისე, როგორც ამას უნდოდა, დააპირა ერთი ოინის მოხდენა... რომ ამით დაეშალა იმ დღეს კენჭის ყრა, მაგრამ ამ დროს გაჩნდა ერთი კეთილ-გონიერი კაცი, რომელმაც შეაჩერა ამ უწესოების განმზრახველი პირი.—

# პოლიტიკა.

ფრანცია. პოლშელ ემიგრანტების ადრესი იმპერატორის ნაპოლეონისადმი. პოლშელმა ემიგრანტებმა, პარიჟში მცხოვრებლებმა, იმპერატორს ნაპოლეონს მიართვეს ადრესი 6 ივნისის შემთხვევისა გამო, რომელზედაც სამასს კაცზედ მეტს ხელი მოწერილი ჰქონდათ. აი ეს ადრესი: „ხელმწიფეო! ჩვენის სამშობლო ქვეყნის ისტორიის დამოწმებით, ჩვენ ხმა—მაღლა გავკიცხავთ, როგორც ჩვენის, ისე პოლშის სახელით, უგუნურს ბოროტ—განზრახულებას. ამ ჟამად არ მოვიხსენებთ არც ჩვენს სიმართლეს და არც ჩვენს უბედურს მდგომარეობას; ეს აზრები დაგვავიწყა ჩვენ პოლშელის ბოროტ—განზრახულებამ. ხელმწიფეო! თქვენის დიდებულების წინაშე როგორც ჩვენ, აგრეთვე მთელი პოლშაც, გამოვაცხადებთ პროტესტს ამ ბოროტ—მოქმედების და იმის მომქმედის წინააღმდეგ. ეს საქმე—პოლშის საქმე არ არის. ამას გვიმოწმებს პოლშის ცხოვრების დიდებულად განვლილი ცხრა საუკუნო და ერთი საუკუნო იმის უბედურებისა. ხელმწიფეო! იდიდოს ძლიერი სახელი ღვთისა, რომელმაც არ მიუშვა, რომ თქვენის თვალის წინ ჩვენს მემამულეს განეგმირა ხელმწიფე, რომელიც სტუმრათ ფრანციაში მოვიდა. მაშინ უფრო დიდს მადლობას ვსწირავთ ღმერთსა, როდესაც წარმოვიდგენთ, რომ თქვენი სიცოცხლეც განსაცდელში იყო. შესაძლებელი იყო თქვენს დიდებულებასაც შეჰხებოდა ტყვია ხელმწიფეო, რომელიც ამდენს სიკეთეს მოგვაგებ ჩვენა, თქვენ,—რომელიცა ხართ

---

სცენის მოყვარეების პარტიამ იღვაწა იტალიანური სიმღერისათვის და მუზიკისთვის (ეს ფაქტი ცხადათ აჩვენებს, რომ ჩვენ საზოგადოებას არ მოსწყენია იტალიანური სიმღერა და მუზიკა, და არა თუ ეხლა ეწყობა—არამედ მომავალისთვისაც იმზადებს ამ შექცევას. ეტყობა ჩვენ განცხრომისა და პოეზიის მეტი აღარა გვაკლიარა)!..

მეორე ქართული სცენის მოყვარეების პარტიამ წარმოადგინეს 13 მაისს (რომელზედაც არის დაწერილი მოხსენებული სტატია) იმ აზრით, რომ ერთ ნიჭიერს ქართველს მისცემოდა შეძლება რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში სწავლის დასრულებისა. ერთის სიტყვით, ამ სამივე წარმოდგენას ჰქონდა ერთი და იგივე აზრი—გავიმეორებთ—კეთილისაქმე. (თუმცა ის წარმოდგენა, რომელიც იყო ქორიძის სასარგებლოდ, სასარგებლოდ ოპერისა, ჩვენ არ მიგვაჩნია კეთილ საქმედ, მაგრამ აქ ვამბობთ საზოგადოების აზრს). ამ გვარი ხასიათი ამ წარმოდგენაებისა ყველა ქართველს თითქოს ვალად სდებდა წარმოდგენაზედ დასწრობას. ესეთი ხასიათი ქართული წარმოდგენისა და ისიც, რომ წელიწადში ქართულ ენაზედ სულ სამი წარმოდგენა ძლივს მოხერხდება ხოლმე საკმაოდ გვიმტკიცებს, რომ კრიტიკოსი ძალიან სცდება იმაში, ვითომც საზოგადოება დიდის ხალისით დაესწრობა ხოლმე ქართულ წარმოდგენაზედ. ახლა რომ გავჩხრიკოთ ის სახსრები, რასაც ხმარობენ ხოლმე წარმომდგენლები საზოგადოებისადმი და ის გამოსავალი, რომელიც დარჩებათ ხოლმე იმათ თავიანთი მრავალი შრომის ჯილდოდ,—რომ ახლოს გავჩხრიკოთ ესენი და შევადაროთ ერთმანერთს, მაშინ კრიტიკოსი ჰნახავს თავის შეცდომილებას და საზოგადოებასაც უეჭველია ქეიფი წაუხდება. რა გაეწყობა? ჩვენ უნდა ვსდევდეთ ჭეშმარიტებას, და არა თავზედ ხელს უსვამდეთ ერთმანერთს და უალერსებდეთ, როდესაც სულ არა ვართ ღირსნი თავზედ ხელის დასმისა და ალერსისა.—ჩვენ, საყვარელო მკითხველო, ახლო ვიცნობთ თითქმის იმ სამივე წარმოდგენას და რომ თქვენც გაგაცნოთ—ეხლავე მოგახსენებთ იმ ხალისს, რა ხალისითაც საზოგადოება მიეჩქარებოდა ქართულ წარმოდგენაზედ.

გიმნაზიელმა ქართველებმა მოიწადინეს თამაშობა რამე პიესისა, მაგრამ აბა როგორ ითამაშებდნენ, როდესაც გიმნაზიაში ქართველები სულ ცოტანი არიან, და იმ ცოტასაც ერთ ნაირად არ ესმისთ საქმე. რასაკვირველია, ბევრი იმ ცოტასი, ჩვეულებისამებრ ქართველი კაცისა, გადგა განზედ იმ ბოდიშით, რომ: „საქმე არა გაქვსო! როლების დასწავლით კი თავს არ გაიხეთქო... ჩემ დღეში არ მითამაშნიაო... რა გამოვა რომ ვითამაშოთ?... ვინ მოვაო?.. და სხვანი. ნუ ეგონება მკითხველს, რომ სიტყვა „ვინ მოვაო“ ვიხმარეთ იმისთვის, რომ ადგილმა მოიტანა. არა, მკითხველო, ჩვენ გვიყვარს მართალი ლაპარაკი.—ამ ერთმანერთში უთანხმოობის გამო ზოგიერთი გიმნაზიელი, რომელსაც უფრო უკეთ ეყურებოდა საზოგადო საქმე,—მოდიოდა თითქმის სასოწარკვეთილებაში და აქაიქ აწუხებოდა, რომ ეგების სხვაგან მაინც გაეხდე რასმეო. ერთმა მათგანმა ერთ ალაგას რამდენიმე ყმაწვილ კაცს მეტად გულმოკლულობით შესჩივლა თავის ამხანაგების უთანხმოებაზედ და უფიქრელობაზედ—და ამ თავისი „ორატორობით“ მაშინვე იმ ყმაწვილებში მოიპოვა ხუთი შემწე ერთად. დაიწყო საქმე და ერთ კვირაში მოხერხდა მთელი წარმოდგენა თავის დავი-დარაბით. იშოვნეს მუქთად კეთილშობილთ კლუბის ზალა უფ. ი. ბუჩქიაშვილის შემწეობით, რომელიც ჩინებულად დაეხმარა გიმნაზიელების კეთილგანზრახვას და რომელსაც ჩვენ ამ მარჯვე შემთხვევაში გამოუცხადებთ ჩვენის მხრით გულითად მადლობას. ამრავლოს ღმერთმა ამ გვარი კეთილ საქმიანნი პირნი, ესენი სათნონი არიან ჩვენთვის და ყველასთვის.—მუქთად რომ იშოვნეს კლუბის ზალა—ეს შემთხვევა იყო სწორედ დედაბოძი გიმნაზიელების წადილისთვის, რადგან არა ჰქონდათ იმედი, რომ შრომის ფასს მაინც აიღებდნენ. მართლაც წარმოიდგინე, მკითხველო, ის წვალება და ცდა, რა წვალებითაც არიგებდნენ და ასაღებდნენ ბილეთებს. ჩვენ არ შევცდებით, რომ ვსთქვათ, თუ ორი მესამედი შემოსავლისა იყო ძალათ წართმეული სხვა და სხვა პირთაგან ძალათ ბილეთის მიჩეჩებით. ამ ფაქტის შემდეგ უფ. ზევით მოხსენებული სტატიის მწერალი ბძანებს, რომ ჩვენი საზოგადოება დიდის ხალისით მიდის ხოლმე ქართულ წარმოდგენაზედ! ახლა მკითხველმა რომ იცოდეს ამ წარმოდგენიდამ რა დარჩა, ან მაშინ რა დადგებოდა, რომ ერთი პირი მთელი ათი თუმნით არ შესწეოდა,—მაშინ ხომ სულ აღარავის ექნება ხალისი ილაპარაკოს იმ ხალისზედ, რა ხალისითაც ქართული საზოგადოება ვითომც ქართული წარმოდგენისაკენ მიისწრაფის!...

აბა ახლა მეორე წარმოდგენა გავშინჯოთ, თუ რამდენ წვალებად ღირდა იმ პირისათვის, რომლის სასარგებლოთაც იყო წარმოდგენილი. (ჩვენ ვამბობთ იმ წარმოდგენაზედ, რომელიც იყო წარმოდგენილი ქორიძის სასარგებლოდ). მკითხველო! შენ რას მიაწერ იმ ფაქტს, რომ უფ. ქორიძე მთელი წელიწადი ეწვალა (როგორც გაგვიგონია) თეატრის შოვნაზედ და მაშინ ძლივს იშოვნა, როდესაც იტალიანური ოპერისთვის საჭირო აღარ იყო. ეს ამბავი იმას ჰნიშნავს, რომ იტალიანურს ოპერას მიეჩვია ყური და ჩვენი საზოგადოება დიდის ხალისით მიეშურება ქართულ წარმოდგენაზედ? არა გვგონია. ეს იმას ჰნიშნავს, რომ ქართულ წარმოდგენას ძალიან ცივად ეკიდება ჩვენი საზოგადოება, და ეს ამბავი თეატრის მოთავეებმა ჩინებულად იციან და ამის გამო მრავალჯერ ეუბნებიან უარს იმ პირებს, რომელნიც სთხოვენ ხოლმე თეატრის ქართული წარმოდგენისთვის. მაშ თუ ესე არ არის—რაარის მიზეზი, რომ როდესაც თეატრის დროა—ზამთარში, მაშინ ერთხელაც ვერ დაახწევენ თეატრს უფ. თეატრის დირექტორს ქართული წარმოდგენისთვის, და როცა კი ზაფხული მოვა და აღარ არის დრო თეატრებისა, არამედ არის დრო ბაღებისა და პიკნიკებისა—მაშინ ძლივ ეღირსებათ ხოლმე ქართველებს ტფილისის თეატრში თავიანთ მშობლიურ ენაზედ წარმოადგინონ სპექტაკლი!!

ფრანციის ამორჩეული, იმ ფრანციისა, რომელიც თითქმის 40 წელიწადია, რაც ასე დიდ—სულოვანებით გვემასპინძლება. ყოველის მხრიდამ აცხადებენ სიძულილს ამ საქმის გამო, მაგრამ ჩვენ უფრო ღრმათ, უფრო ენერგიულად და უფრო მწუხარის სინანულით უნდა მოვიძულოთ ამ საქმის მომქმედი; ჩვენ აღვამაღლებთ ხმას კაცობრიობის სახელით, ჩვენის ხალხის სინიდისის სახელით, რომელიც ჩვენის მამულის ეგრედენათ ტანჯვისა და უბედურების ჟამს, აღსავსე სასოებითა ღმერთზედ, შეადგენს ჩვენს უკანასკნელს ძალას და ჩვენს უკანასკნელს ნუგეშს.

„ღრმა პატივის-ცემით და ერთგულებით დავშთებით თქვენის იმპერატორების დიდებულების ყოვლად—უმდაბლესნი მოსამსახურენი. 8 იენისს.“

**ოსმალეთი.** კანდიის დროებით მმართებლობამ, 12 (24) მაისს, გაუგზავნა ევროპის კონსულებს კანეაში ცირკულიარი, რომელშიაც აღრიცხულია მძლავრობა და მტაცებლობა კანდიაში ომერ—ფაშის ჯარისაგან შესრულებული. ამ ცირკულიარში სხვათა შორის საჩივარი არის მოხსენებული, რომ ოსმალეთის სარდალი მოსავალს აოხრებს და ზეთის ხილის ხეებს სჭრის. ამას იმ განზრახვით შვრება, რომ სრულიად აოხროს კუნძული და შიმშილით ამოწყვიტოს მისი მცხოვრებლები.

— ერთს სერბიულს გაზეთში სწერენ: „სხვა და სხვა ნიშნები გვაჩვენებენ, რომ ბოლგარიაში საყოველთაო ხალხის აღგომა იქნება. ამ მოკლეს ხანში სხვა და სხვა ალაგს უნდა მოხდეს ხალხის აღგომა, რომ პორტა იძულებულ იქმნას თავისი ჯარი ნაწილ-ნაწილებად დაჰყოს. უმთავრესი ადგილ—სადგომი განდგომილებისა არის ბალკანის მთებში, სადაც დიდძალი იარაღი და სამხედრო სამზადისი არის შეგროვებული. ამბობენ, რომ განდგომილების მოთავე კაცები რუმინიაში იმყოფებიან. სისტოვში მოხდა გაცხარებული შეტაკება ოსმალებს და ბოლგარებს შუა; ორმოცი და ათი ოსმალო მოიკლა და იმათ შორის სისტოვის ფაშაც.

**ამერიკა.** ნიუ—იორკიდგან გვაცნობენ, 4 იენისიდგან, რომ სამსჯავრო კომიტეტმა თავის შეყრილობა 20 ამ თვემდის გადასდვა.

ამ კომიტეტმა არ ისურვა პრეზიდენტის სამართალში მიცემა ხუთის ხმით წინააღმდეგ ოთხისა, მაგრამ შვიდის ხმით წინააღმდეგ ორისა გადასწყვიტა, რომ კომიტეტმა თავის ადრესში განკიცხოს პრეზიდენტის აფიციალური მოქმედება, რომელიც დასაძრახია ხალხისა და ქვეყნისაგან.

**მაქსიმილიანეს ტყვეობა.** ნიუ-იორკის გაზეთში, 4 იენისიდამ, სწერენ შემდეგს დაწვრილებითს ცნობებს კვერეტაროს აღებაზედ და მაქსიმილიანეს ტყვეობაზედ.

ორასზედ მომეტებული აფიცარი შეიპყრეს კვერეტაროში. გენერალები მაქსიმ, და კამპასი, 16 მაისს, დახვრიტეს. 15 მაისს მაქსიმილიანე ავათ გახდა, გენერალმა ესკობედომ გაუგზავნა იმას თავისი საკუთარი ექიმები.

როგორც ათინიდამ იწერებიან: 8-ს იენისს სამი ათასი ბერძნების ვოლონტერები კანდიას გაემგზავრნენ. განდგომილების სამი რაზმი შეგროვდა აპოკორონის რეტიმოს, და ლასიტის მაზრებში.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**ვენა,** 7 (19) იენისს). დღეს გაზეთში Die Press. სწერენ, რომ ფრანციის უცხო ქვეყნის საქმის მინისტრს, მარკიზ მუტიეს, თავადს გორჩაკოვს, გრაფს ბისმარკს, ანგლიის ელჩს გრაფს კოულის და ავსტრიისას თავადს მეტტერნიხს მოლაპარაკება ჰქონდათ ოსმალეთის ქრისტიანების მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ, მაგრამ ვერ დასთანხმდნენ ერთმანეთს. ამ კონფერეციაში გადასჭრეს, რომ მოუცადონ იმ ღონის—ძიებას, რომელთაც სულთანი საჭიროდ აღმოაჩენს ქრისტიანების დასაკმაყოფილებლად.

**კოსტანტინეპოლი,** 6 (18) იენისს). 7 (15 იენისს). ფუად ფაშამ მიიღო ნოტა, რომელიც რუსეთმა, ფრანციამ პრუსსიამ და იტალიამ გამოუგზავნეს, და რომელშიაც თხოულობენ ბრძოლის შეწყვეტას კანდიაში.

**ვენა,** 9 (26) იენისს). დღევანდელ ავსტრიის დეპუტატთ პალატის შეყრილობაში იუსტიციის მინისტრმა გამოაცხადა იმპერატორის ბრძანება, რომლის ძალითაც ეპატიებათ ყოველი დანაშაულობა პოლიტიკურ დამნაშავეთ აგრეთვე ნება მიეცათ თავისუფლად დაბრუნდნენ თავის მამულში იმათ, რომელთაც არ აღასრულეს სამართლის გადაწყვეტილობა და გავიდნენ იმპერიიდგან 1848 წლიდან წარსულის წლის 3 დეკემბრამდინ, როდესაც გამოიცა უკანასკნელი იმპერატორის ამნისტია.

**ოდესსა,** 9 იენისს. აქ მიიღეს ცნობები, რომ ბოლგარიაში ხალხი აღგა, ორ ადგილას შეტაკებაც მოხდა. ვერბოვკასთან ბოლგარელებმა გაიმარჯვეს. ოსმალებს 350 კაცი მოუკვდათ და დაეჭრათ. ტერნოვთან ბოლგარები შეიჭრნენ თვით შუგლაში. ამბობენ, ვითომც სოფიოს მახლობლათ ომი მოხდა და 2,000 ბოლგარელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. ბოლგარიაში გზები შეიკრა, ავაზაკობაც ბევრია.

**ბერლინი,** 12 (24) იენისს. დღეს დაიხურა პრუსსიის პალატის შეყრილობა..

**კოსტანტინეპოლი,** 12 (24) იენისს. პორტა ცდილობს, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაამშვიდოს კანდია. კოსტანტინეპოლიდამ მუდამ ახალი ჯარები იგზავნებიან.

**ათინიდამ,** 12-ს იენისს, იწერებიან: ომერ ფაშას უნდოდა სიკია და აპოკორონი აეღო, მაგრამ დიდი ზარალი მიეცა. ომერ ფაშამ ვერ შეიძლო შეერთება მაჰმადის ჯარებთან. მაჰმადი ორჯელ დამარცხდა აპოკორონის მაზრაში და დადგა გამაგრებულს ბანაკში.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი,** 16 იენისს. ხელმწიფე იმპერატორი მიბრძანდა ვილნაში, 13 იენისს საღამოზედ გაბრძანდა დინაბურგში, 14 იენისს საღამოზედ მიბრძანდა რიგაში.—12 იენისს პრუსსიის პალატები დაიხურნენ. ტრონით-სიტყვაში მოხსენებულია: ჩრდილოეთის—გერმანია შეადგენს სახელმწიფოების მჭიდრო კავშირს. ურთიერთობა ხელმწიფეების შორის აღგვითქვავს ჩვენ მშვიდობას. ჩრდილოეთ—გერმანიის კავშირის წესდებულება 11 იენისს მიიღებს სჯულის ძალას.—დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე კოსტანტინეპოლს მიბრძანდა 9 იენისს, რომელსაც მიეგება სულთანი სწორეთ იმ დროს, როდესაც ის პარიჟში აპირებდა გამგზავრებს.

**პეტერბურგი,** 22 იენისს. ტელეგრაფით მიღებული ცნობა მაქსიმილიანეს დახვრეტაზედ გამართლდა. ხუარესი არავის აძლევს მკვდარს მაქსიმილიანეს.—პარიჟში, 19 იენისს, დაურიგდათ საჩუქრები გამოფენის ექსპონენტებს. ნაპოლეონმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც დააბოლოვა ამ სიტყვებით: „დაე სხვებიც დარწმუნდნენ, რომ ფრანცია კარგათ აფასებს ხალხების ღირსებას და სწადს იმათთან მშვიდობიანათ ცხოვრება.

## ანტონ ფურცელაძის განცხადებაზედ.

როგორც გაიგებდა „დროების“ მკითხველი უფ. ანტონ ფურცელაძის განცხადებიდგან, ჩემ კალენდარში იპოვება ორი დიდი შეცდომილება; ეს შეცდომილება მე შევამცნიე ფურცელაძეზედ უწინ, მაგრამ ველარას გავაწყობდი, რადგან კალენდარი დაბეჭდილი იყო. ამ შეცდომილებათ გარდა შესაძლებელია ცოტაოდენი კორრექტურის შეცდომილებაც მომხდარიყოს ჩემს კალენდარში, რადგან მე ძალიან ვაშურებდი იმის დაბეჭდვას. მაინც იმედი მაქვს ეს შეცდომილებანი არ დაამცირებენ ჩემს კალენდარს, რადგან კალენდრის პროგრამმას რაც შეეხება, შეძლების დაგვარად, შევსებული არის. ამის გამო ანტონ ფურცელაძის სასტიკს სჯას ჩემ კალენდარზედ, რომელსაც იმან დაარქო „ყოვლად უგვანო“ (ამასთან უალაგო ალაგს) მე უნდა მივაწერო არა თუ იმას, რომ ანტონ ფურცელაძეს უნდოდა აღმოეჩინა ჭეშმარიტება, არამედ იმას, რომ ის წასძლია თავის ძველებურმა რაინდობამ და უფრო უმეტესად იმისმა უწყალობლობამ ჩემდამო. ახლა საიდამ წარმოსდგა ეს უწყალობლობა? ამაზედ და ანტონ ფურცელაძის რაინდობაზედ მსურს მოვილაპარაკო მკითხველებთან.

როგორც მოგეხსენებათ იმის მართლა ყოვლად უგვანო განცხადებაებიდამ, რომლებშიაც ვცნობთ მხოლოდ ჩვენ ძველს ნაცნობს ბაქიას,— იმან დაანება თავი „ცისკარს“ და [illegible]დათ გამძაგებული უფ. კერესელიძეზედ, ამტკიცებს ყველგან, უფრო ყვირილით რასაკვირველია, რომ ვინც „ცისკრის“ თანამშრომელი გახდება—ის იქნება უპატიოსნო, უგუნური, უგვანო და სხვ.

ახლა გაუგონია, რომ ვითომც იმისი ადგილი „ცისკარში“ მე დამეჭიროს. ეს ამბავი

---

ჩვენ გვგონია ეს იმას არა ჰნიშნავს, მკითხველო, რომ ჩვენ საზოგადოებას მოსწყინდა იტალიანური სიმღერა და მუზიკა და სიხარულით მიეშურება ხოლმე ქართულ წარმოდგენაზედ!...

უფ. ქორიძე ბევრი ეცადა (როგორც გაგვიგონია ნამდვილი წყაროებიდგან) ეშოვნა თეატრი ზამთარში, მაგრამ სულ ამაოდ. ბოლოს იშოვნა მაისში, და თუ ის შემთხვევა არა, რომ თავად-აზნაურობა შეკრებილნი იყვნენ ტფილისში კენჭის საყრელად,—თუ ის შემთხვევა არა—ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მაისში არც ერთი წარმოდგენა არ მოხდებოდა. სწორეთ ამან გააქეზა წარმომდგენლები, რადგან აქაურის საზოგადოების დიდი იმედი ვერ ექნებოდათ. ერთი სიტყვით, როგორც იყო, წარმოადგინეს ქორიძის სასარგებლოდ და, ვგონებთ, შემოსავალი მაგდენი არა იყორა, რადგან თეატრის ადგილები, ნახევარზედ მომეტებული, ცარიელი იყო. ახლა წარმოიდგინე, მკითხველო, რამდენ წვალებად და ტანჯვად ღირდა ეს წარმოდგენა და რა თავ-გამოდებული თაობით იყო აღსრულებული ეს საქმე, მერე შეაფარდე ამის შემოსავალი და მაშინ დასთანახმდი კრიტიკოსს იმ ფრაზაში, ვითომც ქართული საზოგადოება დიდის ხალისით მიეშურება ხოლმე ქართულ წარმოდგენაზედ. ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ იმ თაობით და იმ წვალებით სხვაგან, სხვა ხალხში შეიძლებოდა ერთი შესანიშნავი ამბავი მომხდარიყო და ჩვენ კი ამ ჩვენ გაჭირებულ დროში იმდენი შრომით და წვალებით მაგდენი ვერ მოგვიხერხებია, რომ ჩვენ სამშობლო ენაზედ წარმოვადგინოთ სპექტაკლი!!...

(შემდეგი იქნება).

## პ ა ს უ ხ ი.

(ვუძღვნი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს.)

რა გინდა, სულო, რისთვის მიშფოთავ,
რისთვის ხარ აგრე მრისხნათ მღელავი?
რას ეძებ, რა გწადს, რისთვისა დრტვინავ
და რათ ხარ აგრე მოუსვენავი?

ნუთუ გწყლავს შენა კაცთ ურიგობა,
გაშფოთებს მათი უსამართლობა?
ანუ სიცრუე მათი გაღელვებს,
გტანჯავს და აგრე მწარეთ გაშფოთებს?..

მაშ თუ აგრეა—აღინთე გული
და გაუმკლავდი ბოროტებასა,
მოჰყრუვენი ყველგან გამძლავრებული
და ხელი მიეც დაჩაგრულებსა.

ნუ შეძრწუნდები მით, რომ უშვერი
ხალხი დაგიწყებს შენ ქვით დევნასა,
ნურც შეშინდები მით, რომ მშიერი
სული დაგიწყებს ამოხდომასა...

არ შეიწყნარევენ შენს გულის-თქმასა
თვითონ სიყრმისა მეგობარები,
აღარ გაგიღებს გულს საყვარელი,
არ გაგიკითხვენ თვითონ მშობლები...

ან კი რათ გინდა მეგობრებათა,
რომელნიც თვითონ სხვას სწოვენ ტვინსა!
შენ შენს გზაზედა იდეგ მაგრათა
და მაში ჰპოვებ შენ მკვიდრს ნუგეშსა.

თუ მორეული ბოროტთ ხელითა
იდო მტრის ფეხქვეშ გაშეშებული,
მხნეთ დასდევ თავი: ამ სიკვდილითა
იქნები მართლათ მაცხოვნებელი!

გროზნა, ზურაბ მოენიძე.

25 თიბათვეს, 1859 წ.

## ნ ა ტ ვ რ ა.

როდის იქნება გული მწყურვალე,
მტრისა ძალითა ფეხქვეშ ნათელი,
მთლათ აღვსილიყვეს მზღვევარებითა:
ენახოს მტერი სენით პყრობილი!

მტერი, რომელიც არც სინიდისსა,
არც ჩემ სიმართლეს არ აძლევს გზასა;
მტერი, რომელიც მრისხანის ხელით
ჰკლავს დასაწყისში ჩემს გულის-თქმასა...

მომასწრა იმ დღეს, რომ ის გველივით
შემეპყრას ფეხქვეშ ამძოვრებული,
ამომეგლიჯოს მის გველი ენა
და ჩემს ხელთ იყვეს მის გველი-ხული...

მენახოს იგი ჩემის ხელითა
მახვილით გულში მონანებული;
მენახოს იგი, მომაკვდავის ხმით,
შეწყალებისა შემთხოვნებელი.

მენახოს, რომა უკანასკნელათ
მას ამოხდღეს ჩემსგნითვე სული,
არ ვიწყალებდე მას, როგორც იგი
არ იყო ჩემი შემწყალებელი.

3 მაისს 1866 წ. ზურაბ მოენიძე.

თემირხანშურა.

## მ ე ს ა მ ე ხ მ ა პ ო ე მ ი დ ა მ :

„საპყრობილე“

(ვუძღვნი, ვინც მე პირველათ თვალები ამიხილა)

ჩუმათ და მდუმრათ ხალხი ჩაგრული
ეწევა უღელს თვის მონებისას
და აღარა გრძნობს სიმართლეს გული
მის დაკარგულის კაცთ-ღირსებისას.

როცა კი კაცსა თავი უცვნია
და მოსწრებია სიჭაბუკესა,
მას აქეთია დამონებია
ტვირთსა მძიმესა, შესარცხვენელსა:

შურს, მედიდობას, აღმატებასა,
მოძმეთ დაღუპვას და დამხობასა,
და ვისაც ძალა ხელში უგდია
ცდილან და ცდილან სხვათ დამცრობასა;

და სამართლის წილ უსამართლობა
შექნილა ხალხთა წინამავალი,
ჭეშმარიტების წილ—ბოროტება
შექნილა ხალხთა ხელის—მძლევანელი.

კაცთა მძლავრთა და კაცთა ძლიერთა
დასდვეს თვის მოძმეთ მონის უღელი,
მას აქეთია სდევნიან, სცრცვიან—
თვის დიდებათ ჰქნეს მათ სისხლის ღვარი.

ამ უმღრთო ტვირთ ქვეშ ხალხი უბრალო
ზნექილა უმღრთოთ, ულვრია ცრემლი,
ტანჯულა მწარეთ, მწარეთ, საბრალოთ
და უჭიმვია პირუტყვთ უღელი.

სადაც სიმართლის აღსადგენათა
გამბედავი ხმა კაცთა გაძრულა,
ესე ხმა ისევ მალე მედგრათა
ჯალათის ცულს ქვეშ გაჩუმებულა...

ზურაბ მოენიძე.

იმას სცემია ელდასავით. რათა? იმათა რომ, თუ კი იმან დაანება თავი—სულ ალარავინ უნდა მიეკაროს „ცისკარს“.—კარგი ლოღიკის პატრონი ყოფილა, უფ. ფურცელაძე, ძალიან კარგისა, მაგრამ კი ღმერთმა ყველა აშოროს ამ გვარ ლოღიკას. საკვირველი ის არის რომ, როდესაც თითონ იყო თანამშრომელი „ცისკარში“, მაშინ ყველას უქადაგებდა ჩვენი ლიტერატურის უბედურ მდგომარეობაზედ და ყველას ურჩევდა სალიტერატურო ასპარეზზედ გამოსვლას და „ცისკრის“ თანამშრომელობას. ეს რაღა მიზეზით? იმ მიზეზით, რომ მისი მაღალ ბაქიობა დაკმაყოფილებულიყო მკითხველი, საზოგადოების ქებით, თუ შეხე ანტონ ფურცელაძე რა საქმეებს ჩადის ჩვენი ლიტერატურისთვის! სწორედ ჩვენი განათლებისა და სიტყვიერების ლამპარი და დედა,—ბოძიაო! ეს ჭახრაკივე აბრუნებს იმის არსებას ეხლაც, როდესაც ამან უგულებელ ჰყო „ცისკარი“ (საწყალი!); ეხლაც ისა აქვს აზრად, რომ მკითხველმა საზოგადოებამ იგრძნოს მისი დაკარგვა და ყოველ „ცისკრის“ მილებაზედ ამოიოხროს ამ სიტყვებით: „საწყალი ჩვენი დაობლებული „ცისკარი“, ცუდი საქმე არ მოუვიდაო!“

კაცი, რომელსაც არ გასჯდომია სისხლში სულ ყოველი ფერი რასაც ფიქრობს, და ყოველი იმისი აზრები და ფიქრები არ შეადგენენ პირდაპირ იმის სულისა და გულის გამოსავალს, არამედ არიან მობერილნი რომელიმე ბედნიერი ქარისაგან—ის კაცი არაოდეს არ მოეკიდება საქმეს (რაც უნდა იყოს) ერთგულებით, და რასაც გააკეთებს მხოლოდ იმისთვის გააკეთებს, რომ სხვანიც აკეთებენ; და თუ ამისთანა კაცს თავის მოყვარეობაცა სჭირს, მაშინ ის კაცი სრულებით უგვანოა, რადგან იმისაგან ვნების მეტი არა გამოვა; სხვა საძაგლობის გარდა ამისთანა კაცს ხასიათად ისიცა სჭირს, რომ ყოველთვის უნდა მარტო იმასა ჰხედავდნენ და ამის გამო ის ძალიან ხშირად აეტუზება ხოლმე ბევრს თავისზედ უკეთესს. ამ გვარ კაცებს შევადარებთ ჩვენ უფ. ანტონ ფურცელაძეს. ამ გვარი კაცი და თვით ანტონ ფურცელაძეც ფიქრობს მხოლოდ იმას, რომ საზოგადოება ჰხედავდეს მარტო იმას, და თუ ვერა ჰხედავს—მაშ სხვასაც ნუ დაინახავსო; ერთის სიტყვით ამისთანა კაცს თავის თავის გარდა ყველანი არაფრად მიაჩნია ....... მე არას ვიტყვი იმაზედ, თუ ვინ უფრო ცუდად მოიქცა: ფურცელაძე, რომელმაც ალგვითქვა „ცისკარში“ თანამშრომელობა (მე ვამბობ როგორც „ცისკრის“ მკითხველი) და სამი წიგნის უკან თავი დაგვანება,—თუ მე რომელიც, ვთქვათ, ვკისრულობ იმის ადგილს? ამაზედ ჩემის მხრით საჭირო არ არის ბევრი ლაპარაკი, რადგან ყველა მკითხველი ადვილად გვიპასუხებს.

ახლა მე მსურს მოვაგონო მკითხველს პირველი განცხადება უფ. ფურცელაძისა. აბა წაიკითხეთ და დაუკვირდით—ბაქიას არ იცნობთ იქ, იმ ბაქიას, რომელიც ილვაწის თავის თავის მოყვარეობისთვის უფრო, ვიდრე საზოგადოებისათვის? ახლა გაშინჯეთ მეორე განცხადება. იქაც კიდევ ბაქია სჩანს, მაგრამ ბაქია გაუპატიურებული და ამით გახელებული, რადგან საზოგადოებამ და უმეტესად „ცისკარმა“ შავები არ ჩაიცვეს იმის დაკარგვაზედ! ახლა ჩვენთვისა ვსთქვათ: რასა ბაქიობს უფ. ანტონ ფურცელაძე? ნუ თუ მართლა იმას მიაჩნია თავისი თავი ქართული ლიტერატურისთვის ლამპრად და დედაბოძად? ეგ რა მიზეზით?! ჩემო ბექა! წავიდა ის დრო, როდესაც თქვენ გეჭირათ ბურთი და მოედანი ხელში და უქადაგებდით მართლა რომ გულ კეთილ მკითხველებს თქვენს ჭექა-ქუხილიანს და თოვლ-ბუქიანს ფრაზებს!.. წავიდა ის დრო... იმ დროს ნუღარ მოელით... თქვენ არ იქნებით „ცისკრის“ თანამშრომელი, ბევრი სხვა თქვენისთანა და თქვენზედ უკეთესებიც გამოჩნდებიან... თქვენ დიდათ მოგაქვსთ თავი თქვენს ხელში გამოცემული სამი „ცისკრით“. ნუ თუ გგონიათ, რომ იმ სამ ნომერში თარგმანების მეტი კარგი იყოს რამე, (გარდა უფალი მამაცაშვილის სტატიისა)? თუ ლექსები არის თქვენი ნათარგმნი—ეგ დიდი არა ფერია, რადგან თქვენისთანა ლექსის მთარგმნელებს სემინარიის მოწაფეებშიაც ბევრს ვიპოვნით და პროზისას ხომ უფრო ბევრს. თქვენი „თოთა“ და „სამის თავს გარდასავლები“ კი ისეთი მარგალიტები არ არიან ჩვენი ლიტერატურისთვის, (იმას ნუღარ ვიტყვით, რომ „სამის თავს გარდასავლების“ უმეტესი ნაწილი სხვა მწერლებისაგანა გაქვსთ ალებული),—რომ თქვენ ეგრე მაღლა აიწიოთ და უფრო გააძლიეროთ თქვენი ძველი ბაქიობა; „თოთაში“ კი სწორედ მოგახსენოთ, იმით გაგიმარჯვნიათ რომ თქვენს გმირებს სიტყვებს აგრეხინებთ და ბევრსაც უადგილოდ ახმარებინებთ,—სხვა კი იქ არა არის რა ჩვენის აზრით. ამასთან თქვენ ჩვენი მშვენიერი ქართული ენის ცოდნაზედ ძალიან უკაცრავათა ჰბძანდებით: სურათად წარმოგიდგენთ რამდენსამე სიტყვას ამ თქვენი ორმოც სტრიქონიან განცხადებიდგან, რადგან „ცისკარში“ ჩახედვა გვეზარება. აბა რასა ჰგავს ესეთი დაწმახნილი სიტყვები და ესეთი მართლა უგვანო ენა? რა არის: მეცვე მივეცი, ჰპოვეს, უგვანი, აკითხავდა და რამდენი სხვა! ენა რომ მაინც იცოდეთ კარგათ, მაშინ კიდევ შეგენდობოდათ ეგ ბაქიობა, და ეხლა კი, როდესაც ორივე მხრით უკაცრავათა ბძანდებით, რა რიგია რომ თქვენ ეგრე ბაქიობთ და ასე გგონიათ, თუ საქართველოში თქვენისთანა კაცი აღარ იპოვება! დამშვიდდით!.. დაცხრით!.. ერთი თქვენა ხართ-ათასი სხვაა... და თუ უწინ იოლას მისდიოდით მაგ ბაქიობით—ეხლა იმედი ნუღარ გექნებათ—დრო გამოიცვალა... ამისთანა ბაქიობისგან სულ არა გამოდისრა კეთილი, გარდა ამ გვარი უსარგებლო პოლემიკებისა, რომელიც მეც მაწუხებს და თქვენც, და მკითხველს კი აცინებს ჩვენზედ...

თქვენ ძალიანა გწყინთ ის ამბავი, რომ მე ვითომც ვიჭერ თქვენს ადგილს „ცისკარში“. რათა გწყინთ? თუ თქვენ ქართული ლიტერატურა გიყვართ—არ უნდა გწყინდეთ, და თუ თქვენი თავის მეტი აღარა გახსოვთ რა—ეგ ვის რა?..

თქვენ დასამშვიდებლად უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ აზრს ვადგევარ: თუ დავწერ რასმე—მკითხველის საზოგადოებისთვის და არა ა—ნისათვის ან ბ—ანისთვის. ჩვენი სულის მოთხოვნილება არის წერა (თქვენ აქ რასაკვირველია იმახვილებთ-კალენდრისაო!—არა, გულ სწრაფო, მხოლოდ თავის დროს კალენდრისა)—და თუ დავსწერთ რასმე ან „ცისკარში“ უნდა ჩავართოთ, ან „დროებაში“: მეტი ჩვენ არა გვაქვს რა. „დროებაში“ ყველა ნაირი სტატია არ დაიბეჭდება (აქაც რასაკვირველია იმახვილებთ: რომელსაც „დროება“ დაგიბრუნებსო, იმას „ცისკარში“, გაარბენინებო, და რადგანაც „დროება“ შენ სტატიას არც ერთს არ დაბეჭდავსო, ამისთვის შენი ადგილი „ცისკარიაო“. თითონ მეც მიხარიან, რომ ეგრე ქეიფზედ მოგიყვანეთ).—ჰო, რაც „დროებისთვის“ არ გამოდგება ის უნდა დაიბეჭდოს ცისკარში, რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ საჟურნალო სტატია სხვა არის და საგაზეთო სხვა. ეხლა ჩვენ, „ცისკრის“ მეტი ჟურნალი სხვა არ სად გვაქვს, და ამისთვის ნება მომეცით საჟურნალო სტატია „ცისკარში“ დავაბეჭდინო, და როცა თქვენ დააფუძნებთ რამე ჟურნალს, მაშინ უეჭველად უგულებელ ვჰყოფ „ცისკარს“ და დავადგები გზასა თქვენისა „ჟურნალისასა,“ რასაკვირველია, თუ თქვენ არ უგულებელ ჰყოფთ ჩემს სტატიებს, როგორც ეხლა მოსთხარეთ ჩემი კალენდარი... სწორეთ ეგრე... მანამ კი თქვენის ნება დართვით ხან და ხან „ცისკრის“ მკითხველებს წავაკითხებთ რასმე?

დასასრულ, მოწყალეო ხელმწიფევ, ანტონ ფურცელაძე, ჩვენო გმირო ბექა! თქვენ ხომ ორჯელ გამოაცხადეთ ქართულს ენაზედ „ცისკრის“ თავის დანებება, მე გირჩევთ არ იკმაროთ ეგ; საჭირო იქნება, აუცილებლად საჭირო, ერთხელაც კიდევ გამოაცხადოთ, სამების ძალზედ, და ამას გარდა ყველა ევროპიის გაზეთებშიაც გაგზავნოთ თითო განცხადება მაინც, რომ მეთქო... შემოხედეთ თქო... „ცისკარს“ თავი დავანებე თქო...—თორემ რას ბძანებთ? ხუმრობა საქმე ხომ არ არის?.. სწორეთ საისტორიო საქმეა.. „ცისკარს“ კი ამას ურჩევ, რომ იმან „შეიმოსოს სინანულის ძაძა და ექვს თვეს მაინც იგლოვოს ესოდენ უწყალო დაობლება თავისი!!.“

და უდასასრულეს ამასაც მოგახსენებთ, რომ ამის შესახებ თუ რამის დაწერას მოისურვებთ—ეგ იქნება სრულებით მეტი თქვენის მხრით, რადგან მოდი და ამითი გავათაოთ. მე უნდა მოგახსენოთ, რომ უთქვენოთაც ბევრი საქმე მაქვს; და თუ ვინიცობაა აღარ დაიშლით და თქვენი ძველებური ბაქიაობა წაგძლევთ—ჩემგან პასუხი ნუ გინდათ.

ნიკოლოზ ავალიშვილი.

ივნისის 25

## სახაზინო განცხადება.

(Закавказскій Вѣстникъ № 49)

2) კავკასიის სამხედრო ოკრუგის საინჟინერო სამმართველოში ამ წლის 3 ივლისს მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა სხვა და სხვა სახაზინო შენობების გადაკეთება ტფილისში. ეს იჯარა ეღირება 6,442 მან., და 25 კაპ.

3) კავკასიის სამხედრო ოკრუგის საინჟინერო სამმართველოში ამ წლის 16 ივლისს მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა აგურის შენობების აგება მტკვრის მარცხენა მხარეზედ. ტფილისში. გამოანგარიშებულია, რომ ეს შენობა დაჯდება 48,451 მან. და 76 კაპ.

4) მომავლის 1868 წლიდგან იჯარით გაიცემა საეკკლესიო საბოსტნე ადგილი, რომელიც მდებარებს ტფილისის უეზდში, სართაჭალის უჩასტკაში, ახალსოფელს. ვისაც ამ ადგილის აღება სურს, ის უნდა გამოცხადდეს ტორგზედ ამ წლის 2 ნოემბერს საეკკლესიო მამულების გამგებელთან ტფილისის მაზრაში, ნადვორნი სოვეტნიკთან არჯევანიძესთან.

6) ვლადიკავკასის საქალაქო სამმართველოში ამ წლის 20 ივლისს მოხდება ტორგი, რომელზედაც გაიცემა დამზადება 1,520 ჩეთვერის შვრიისა, ან ქერისა ვლადიკავკასიის პრავიანტის მაღაზიისათვის და 1,036 ჩეთვერისა—ვოზდვიჟენსკის მაღაზიისათვის.

9) ტფილისის გუბერნიის სამმართველოში ამ წლის 25 სეკტემბერს მოხდება ტორგი გასასყიდათ უძრავის მამულისა, რომელიც ეკუთვნის ტფილისის მცხოვრებლებს ბალო შაუმოვს, მიკიჩას, ოსანას, ზანაგანას ბაბაის ძეთა ვართანოვებს და მდებარებს ტფილისის მეორე ნაწილის მეორე კვარტალში. ეს მამული შესდგება ორის ქვითკირის სახლისაგან, ოთხის ფლიგელისა და ეზოსაგან. ის არის დაფასებული 17,000 მან. და ისყიდება ვალში.

## კერძოობითი განცხადება.

პატივცემულს ტფილისის პუბლიკას და უ. სხვა ქალაქების მცხოვრებლებს მოვახსენებ, რომ ივლისის 1 რიცხვიდან ზენერალ—მაიორის მამუკა დჟამბაკურიან—ორბელიანის სახლში—გოლოვინის პროსპექტზედ, გაიხსნა სასტუმრო (გოსტინიცა) ამ წარწერით: „ამერიკა“. იქ მეორე ეტაჟში მოსასვენებლათ ჩამომხდარნი ჰპოვებენ ნომრებს ყოვლის გამართულობით. სასტუმროში იქნება გამართული ბუფეტი სხვა და სხვა გვარის ევროპიულის ღვინოებით და საუზმებით; ეგრეთვე იქნება საზოგადო პურისაჭმელი ზალა, სადაც ძრიელ იაფად იქნებიან დაკმაყოფილებულნი სადილისა ანუ ვახშმის მსურვებელნი. აგრეთვე შეუძლიანთ გარეშე პირთაც მოამზადებინონ თავისთვის საჭმელები.

ვინც საკუთარის კარეტით და კაცებით ჩამოხდება, იმედი გვაქვს შევიწროებას არ ნახავს ამ ახლათ გახსნილს სასტუმროში ამისთვის, რომ როგორც მოსამსახურეებისთვის, ეგრეთვე ეკიპაჟებისთვისაც [illegible] ალაგი.

---

იოსებ ხერუმოვისაგან.

გარდა ჩემის მაუდის მაღაზიისა, რომელიც არის ტფილისში, თამამშოვის ქარვასლაში, ამ ახლო ხანებში გავაღე სხვა მაღაზია სამხედრო აფიცრების სახმარის ფორმის ნივთეულებისა (форменныя вещи для военныхъ офицеровъ), პოლიციის ზემო რიგობაზედ, სოლოლაკის დიდს ქუჩაზედ უ. ჯანყელს დუქნებში. წინათაც მქონია ჩემის სამსახურით ნდობა უ. უ. სამხედრო აფიცრებისაგან და სხვათა ქალაქების ვაჭრებთაგან და ახლაც ამ ახალ საქმის ვაჭრობაშიაც შრომა და ცდა მექნება, რომ პუბლიკას მოვაწონო ჩემი მაღაზია ყოველ გვარი ნივთეულებით, კარგის საქონლით და იაფობით.

ამავე ჩემს მაღაზიაში ისყიდება სამოქალაქო ჩინოვნიკების ფორმის ნივთეულები (Форменныя вещи для чиновъ Гражданскаго Вѣдомства.)

ჩემს სახელობაზედ მთხოვნელნი სხვა ალაგებიდამ მიიღებენ, რა ნივთსაც დაიბარებენ, მალე და იაფათ.

---

# რამდენიმე სიტყვა ანგლიურს რანსომის გუთანზედ.

მეორე წელიწადია, რაც შევიძინე უფალის ვალის დეპოდგან გუთანი სახელდობ ანგლიური რანსომისა Y. F. R. მარკით. ეს მოხსენებული გუთანი გამოდგა სამუშაოთ შემდგომის ღირსებისა:

1. გუთანს უნდება ოთხი უღელი ხარ-კამბეჩი, ერთი გუთნის—დედა და ორი მეხრე......

2. თითონ გუთანი მარტივი არის, გამძლე და გამყოლი. აგრეთვე თითეული მის ნაწილიც გაადვილებს ძნელს და გამო-გვალულს სახნავს.

3. სახნისი აქვს ბრტყელი და მჭრელი, რომელიც ადვილათ გაზდევს მიწაში.

4. გუთნის ფრთა მშვენივრათ სწმენდავს კვალს, თანასწორედ და ერთ მხრივ აწვენს და აბრუნებს მიწას, მაღლობს და დაბლობს თანასწორათ ხნამს.

5. გუთნის—დედას შეუძლიან საჩქაროდ და დაუპრკოლებლად მისცეს გუთანს იმ ნაირი მომართულება—რა ნაირათაც უნდა, ისე დააყენოს, რა სიღრმეზედაც სურს, ან თუ რა ველი მოსჭრას განიერი თუ ვიწრო. ველი სრული მიაქვს, ასე რომ თორმეტს ვერშოკამდინ და აგრეთვე სიღრმე კვლისა რვა ვერშოკამდინ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას სრული ხოდი მიეცემა, ოთხ უღლისათვის მძიმე სატარებელი არის, მარამ თუ სიღრმით ხუთ ვერშოკზედ დადგება და ველი თორმეტ-ვერშოკზედ, მაშინ ზემოთ მოხსენებულს ოთხ უღელზედ მეტი არა შემთხვევისათვის საჭირო არ არის.

კარგი გამართულობა გუთნისა მდგომიარობს უმეტეს ხელის ფორმაში და გუთნის ხელის მოსაკიდში; ეტყობა, რომ საგულის გულოთ მომზადებულის მასალისაგან არის შედგენილი. ამის გამო თითეულს მის ნაწილს სიმაგრე აქვს, ასე რომ ქვის დახვედრით ანუ სხვა გვარის დაპრკოლებით არ იღრიხება და არცარა უტყდებარა.

მე უნდა ვსთქვა, რომ ამ ზემოთ მოხსენებულის გუთნით მუშაობა დიდათ სასარგებლო არის, მიხედვის და გვარათ არც ძვირი არის: ეს ღირს 82 მანეთი. ვალის დეპო არის ძველს აპლაბრის ფერმაში—ტფილისში.

ივ. სულხანოვი.

ს. ტირძნისი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го іюня 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.